

კონკურენციული გარემო ქართულ საბანკო სისტემაში

ვაშაკმაძე ირინა – ასოცირებული პროფესორი, საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დეპარტამენტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო

Competitive Environment in Georgian Banking System

Vashakmadze Irina – Associate Professor, Department of Finance, Banking and Insurance, Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia

Abstract

Introduction and aim: In Georgia banking activity needs such regulation which will provide the creation of just and right rivalry conditions being the guarantee of effective development of the country's banking system. In order to maintain the sustainability of the banking system, it is necessary to have the level of competition which is a significant problem as far as civilized competition is a necessary element for the banking system to function and develop effectively.

When we speak about and discuss the condition in the banking sector of Georgia, especially about specific environment and evaluation of its system of effectiveness, it is favourable to discuss not only directly the banking system, but the whole credit market of the country, including all its participant subjects. Here, naturally, we mean micro finance organizations, credit connections, pension and life assurance funds and the most interesting - the fund market as bringing alternative loan and investment capital and the most effective instrument of the management.

Connected with the abovementioned, it is also important for the National Bank of Georgia to have correct regulations and flexible supervisory policy. The abovementioned significantly conditioned fast and sequential growth of the whole banking industry and banking structures. I mean quite high level of financial stability and solvency of banking system as well as the satisfactory quality of financial indices of banks and banking products.

Research methodology: Synthesis, analysis, statistic.

Results and implications: The banking sector of Georgia functions in limited rival conditions, though that does not mean that there is no competition of banks at the market. Competition might exist not only among the banks but inside banks as well. Today there sometimes are indications of existing carter deals among banks, but in order to confirm this, it needs legislative and institutional modernization.

Nowadays the main objective must be the creation of rival space, which, while defining competition at the banking service market, will give us possibility to consider such factors as: clear price, comfort for the consumer, public trust. Conclusions of the research will assist rise competitive ability of individual banks as well as of the whole banking system of Georgia.

Conclusion: The level of development of a banking system significantly depends on how much is a banking sector oriented on a consumer. Here we mean service quality as well as Geography and availability of a product.

It is also very important to develop the capital market in the country. Unfortunately, only the lack of a market is not the reason of undeveloped fund market. Simply, there was no proper concept for this direction, which would consider international tendencies. Nowadays, the integration of international markets has more and more irrevocable character.

In order to increase competition in banking sector of the country, the government should start the regulation of legislative and normative base, it is also very important to activate regulating and supervisory role of the National Bank of Georgia.

Keywords: Banking system, Competitive.

აბსტრაქტი

მესავალი და მიზანი: საქართველოში საბანკო საქმიანობა მნიშვნელოვნად საჭიროებს ისეთ რეგულირებას, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიანი და საკმარისი კონკურენციის პირობების შექმნას, რაც არის ქვეყნის საბანკო სექტორის ეფექტიანი განვითარების გარანტი. საბანკო სისტემის მდგრადობის შენარჩუნებისათვის აუცილებელია კონკურენციის დონის არსებობა რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემაა, რამდენადაც ცივილიზებული კონკურენცია საბანკო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და პროგრესული განვითარების აუცილებელი ელემენტია.

როცა ვსაუბრობთ და მიმოვიხილავთ საქართველოს საბანკო სექტორში არსებულ მდგომარეობას, განსაკუთრებით კონკურენტულ გარემოსა და მისი ხარისხის შეფასებას მისი ეფექტიანობის კუთხით, სასურველია, განვიხილოთ არა მხოლოდ უშუალოდ საბანკო სექტორი, არამედ ქვეყნის მთლიანი საკრედიტო ბაზარი, მისი მონაწილე ყველა სუბიექტის ჩათვლით. აქ, ბუნებრივია, იგულისხმება მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები, საპენსიო და სიცოცხლის დაზღვევის ფონდები და, რაც ყველაზე საინტერესოა, საფონდო ბაზარი, როგორც ალტერნატიული სასესხო-საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვისა და მართვის მეტად ეფექტიანი ინსტრუმენტი.

აღნიშნულთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს ეროვნული ბანკის სწორი რეგულაციები და მოქნილი სახედამხედველო პოლიტიკა. აღნიშნულმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა საბანკო სტრუქტურებისა და მთლიანად საბანკო ინდუსტრიის თანამიმდევრული სწრაფი ზრდა და განვითარება. ვგულისხმობ როგორც საბანკო სექტორის ფინანსურ სტაბილურობასა და გადახდისუნარიანობის საკმაოდ მაღალ დონეს, ისე ბანკების ფინანსურ მაჩვენებლებსა და საბანკო პროდუქტების მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელ ხარისხს.

კვლევის მეთოდოლოგია: სინთეზის, ანალიზის, სტატისტიკური.

შედეგები და გამოყენება: საქართველოს საბანკო სექტორი შეზღუდული კონკურენციის პირობებში ფუნქციონირებს, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ბაზარზე ბანკებს შორის კონკურენცია არა რის. კონკურენცია ზოგადად არა თუ ბანკებს შორის, ერთი ბანკის შიგნითაც კი შეიძლება მიმდინარეობდეს. დღეს არის ხოლმე მინიშნებები ბანკებს შორის არსებულ კარტერულ გარიგებებზე. მაგრამ ამას დამტკიცება უნდა და მოითხოვს საკანონმდებლო და ინსტიტუციონალურ მოდერნიზაციას.

დღეს მთავარი ამოცანა კონკურენტული სივრცის შექმნა უნდას იყოს, რაც საშუალებას მოგვცემს საბანკო მომსახურების ბაზარზე კონკურენციის განსაზღვრისას ამოვიდეთ ისეთი ფაქტორებიდან როგორებიცაა: ცხადი ფასი, კომფორტი მომხმარებლისათვის, საზოგადოებრივინ დობა.

ნაშრომის დასკვნები ხელს შეუწყობს როგორც ცალკეული ბანკების, ასევე მთლიანად საქართველოს საბანკო სისტემის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

დასკვნა: საბანკო სექტორის განვითარების დონე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თუ რამდენად არის საბანკო სექტორი ორიენტირებული მომხმარებელზე. აქ იგულისხმება როგორც მომსახურების ხარისხი, ასევე გეოგრაფია და პროდუქტების ხელმისაწვდომობა.

ასევე ძალზე მნიშვნელოვანია ქვეყანაში კაპიტალის ბაზრის განვითარებაც. სამწუხაროდ, მხოლოდ ბაზრის სიმცირე არ არის საფონდო ბაზრის განუვითარებლობის მიზეზი. უბრალოდ ამ მიმართულებით არ არსებობდა ერთიანი კონცეფცია, რომელიც საერთაშორისო ტენდენციებს გაითვალისწინებდა, დღეს საერთაშორისო ბაზრები სინტეგრაცია სულ უფრო შეუქცევად ხასიათს ატარებს.

ქვეყნის საბანკო სექტორში კონკურენციის გაზრდის მიზნით ხელისუფლებამ უფრო ქმედითი ნაბიჯი უნდა გადადგას საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის მოწესრიგების თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს ეროვნული ბანკის წინაშე მარეგულირებელი და სახედამხედველო როლის გააქტიურება.

საკვანძო სიტყვები: საბანკო სისტემა, კონკურენცია

საქართველოს საბანკო სექტორი, საკმარისად დიდი ხანია რაც ფუნქციონირებს და ვითარდება საბაზრო პირობებში, საქართველოში საბანკო საქმიანობა მნიშვნელოვნად საჭიროებს ისეთ რეგულირებას, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიანი და საკმარისი კონკურენციის პირობების შექმნას, რაც ქვეყნის საბანკო სექტორის ეფექტიანი განვითარების გარანტია. საბანკო სისტემის მდგრადობის შენარჩუნებისათვის აუცილებელი კონკურენციის დონის არსებობა დღევანდელი დღის საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემაა, რამდენადაც ცივილიზებული კონკურენცია საბანკო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და პროგრესული განვითარების აუცილებელი ელემენტია.

ნებისმიერი ეკონომიკური ზრდა, აუცილებელ პირობად გულისხმობს კონკურენციისა და კონკურენტული გარემოს არსებობას. რაც უფრო მაღალია კონკურენციის დონე, რაც უფრო მეტად თავისუფალია ბაზარი, მით მეტია საკუთარი უნარების სრულფასოვანი რეალიზაციის შესაძლებლობა და, შესაბამისად, ეკონომიკური თუ ფინანსური ზრდის ტემპი. თუმცა მხოლოდ ზრდა არ გახლავთ პროცესის სრულფასოვნების შეფასების კრიტერიუმი, რადგან სრულიად შესაძლებელია, ზრდის მაღალი ტემპის მიუხედავად, განვითარების დონე და მასშტაბი გაცილებით დაბალი, ან სულაც ნულოვანი იყოს. ამიტომ სამიზნე კრიტერიუმი თანამედროვე საზოგადოებაში არის ე.წ. მდგრადი განვითარების მოდელი, რომელიც ქვეყნის განვითარების ისეთი სისტემის არსებობას გულისხმობს, როცა ეკონომიკური ზრდა წარმოადგენს საზოგადოების კეთილდღეობის, ცხოვრების დონისა და ხარისხის ზრდის საფუძველს, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს შემდგომი თაობებისთვის ცხოვრებისა და განვითარების მაღალი სტანდარტის მქონე გარემოს ჩამოყალიბებას როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით.

როცა ვსაუბრობთ და მიმოვიხილავთ საქართველოს საბანკო სექტორში არსებულ მდგომარეობას, განსაკუთრებით კონკურენტულ გარემოსა და მისი ხარისხის შეფასებას მისი ეფექტიანობის კუთხით, მართებულია ეს საკითხი მრავალწახნაგოვან პრიზმაში დავინახოთ. სასურველია, განვიხილოთ არა მხოლოდ უშუალოდ საბანკო სექტორი, არამედ ქვეყნის მთლიანი საკრედიტო ბაზარი, მისი მონაწილე ყველა სუბიექტის ჩათვლით.

საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტმა 2017 წლის 17 მაისს კომერციულ ბანკებში ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (LCR) გაანგარიშებისა და დაცვის მეთოდოლოგია დაამტკიცა.[1] ბაზელ III-ის LCR წარმოადგენს მოკლევადიანი (30 დღემდე) ლიკვიდობის მართვის საერთაშორისოდ გავრცელებულ, თანამედროვე და ეფექტურ მიდგომას და ამ ტიპის რისკების უფრო სრულყოფილი იდენტიფიკაციის, შეფასების, მონიტორინგისა და კონტროლის საშუალებას იძლევა. მისი დანერგვა ასევე რეკომენდირებული იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2014 წლის "ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამის (FSAP)" ფარგლებში.

დღეს არსებული მოთხოვნით, ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი ითვალისწინებს „გადინებისა“ და „შემოდინების“ განსხვავებულ მაჩვენებლებს, ვალდებულებებისა და აქტივების სხვადასხვა ტიპების მიხედვით. იგი ასევე ითვალისწინებს, ქართული საბანკო სისტე-

მის დამახასიათებელ სპეციფიკას, როგორც არის ვალდებულებების კონცენტრაცია, არარეზიდენტების დეპოზიტები და საპროცენტო ხასიათის მიმდინარე ანგარიშების მაღალი წილი.

ცვლილებების თანახმად კი, არასტრესულ პერიოდში ჯამურად ყველა ვალუტის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი არ უნდა იყოს 100 პროცენტზე ნაკლები. შედეგად, ბანკი უნდა ფლობდეს საკმარის ლიკვიდურ აქტივებს, რომ ფინანსური სტრესის დროს გაუმკლავდეს მოსალოდნელ გადინებებს. ასევე, გათვალისწინებულია ვალდებულებების მაღალი დოლარიზაცია, რაც სტრესის დროს დამატებით საფრთხეს ქმნის, რადგან შეზღუდულია ლიკვიდობის საგანგებო გეგმის, მიგიტაციის სხვა ღონისძიებების ან ეროვნული ბანკის მხრიდან მხარდაჭერის ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობა. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ჯამურ და ცალკე უცხოური ვალუტის LCR-ის მოთხოვნის მინიმალური დონე განისაზღვრა 100 პროცენტით, ხოლო ლარის - 75 პროცენტით. ამასთან, ლიკვიდურად ითვლება კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ბანკში განთავსებული უცხოურ ვალუტის მინიმალური სავალდებულო რეზერვების 75 პროცენტი, ხოლო ლარით - 100 პროცენტი. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ იზრდება საზედამხედველო კაპიტალის ოდენობა 12 მილიონიდან 50 მილიონამდე. კერძოდ, დღეს მოქმედი კომერციული ბანკებისათვის განისაზღვრა თანდათანობითი ზრდა 2017 წლის 30 დეკემბრისათვის არის 18 მილიონი, 31 დეკემბრისათვის 30 მილიონი, 2018 წლის 30 ივნისისათვის 40 მილიონი, ხოლო 31 დეკემბრისათვის 50 მილიონი ლარი.


LCR-ის 100 პროცენტის დაცვა კომერციული ბანკებისთვის სავალდებულოა 2017 წლის 1 სექტემბრიდან. აღსანიშნავია, რომ მისი დანერგვა საქართველოს საბანკო სისტემაში 2012 წლიდან დაიწყო და აქამდეც გამოიყენებოდა საზედამხედველო პროცესში ლიკვიდობის რისკის მონიტორინგისთვის. პარალელურად, მიმდინარეობდა კოეფიციენტის ცალკეულ მაჩვენებლებზე დაშვებების კალიბრაცია (პარამეტრების დაზუსტება). ჯამურად, სისტემაში დღეისთვის ახალი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საკმარისი ლიკვიდობაა, რაც კიდევ უფრო გააიოლებს LCR-ის ოფიციალურად დანერგვას. LCR-ის დანერგვა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს პრუდენციულ ზედამხედველობას. ამასთან, გრძელვადიანი ლიკვიდობის რეგულირების მიზნით, მომავალი წლიდან წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის (NSFR) შემუშავება იგეგმება. მისი დანერგვის შემდგომ გაუქმდება ლიკვიდობის არსებული მოთხოვნა (მოკლევადიანი ვალდებულებების 30 პროცენტი) და ის მხოლოდ მონიტორინგის მიზნით იქნება გამოყენებული. შედეგად, ლიკვიდობის რისკის საზედამხედველო ჩარჩო სრულ შესაბამისობაში მოვა ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის სტანდარტებთან მიუხედავად იმისა რომ ყოველივე უცილობლად გამოიწვევს კომერციული ბანკების გამსხვილების პროცესის კიდევ უფრო დაჩქარებას და მათი რაოდენობა შემცირდება.

ერთი მხრივ, ბანკების რაოდენობის შემცირება და მეორე მხრივ, დეპოზიტებისა და სესხების ზრდა და, რაც მთავარია, საპროცენტო განაკვეთების შემცირება გვიჩვენებს, რომ საბანკო სექტორში კონკურენციისთვის გადამწყვეტი არა ბანკების რაოდენობა, არამედ არსებული ბანკების განვითარების დონეა. ბუნებრივია, რაც მეტი კომერციული ბანკი იქნება საქართვე-

ლოში, მით უკეთესია, მაგრამ უნდა შენარჩუნდეს ის დიდი მიღწევა, რომ საქართველოში ბანკები აღარ კოტრდებიან. იყო შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი ბანკი გაიყიდა, ზოგიერთი უფრო დიდ ბანკს მიუერთდა, ზოგის ლიკვიდაცია განხორციელდა, მაგრამ ეს პროცესები ისე წარიმართა, რომ მეანაბრეები არ დაზარალებულან. სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი საბანკო სექტორისადმი ნდობის შენარჩუნებისა და კიდევ უფრო მეტი განვითარებისთვის.


უკანასკნელ ხანებში საზოგადოებაში ხშირად საუბრობენ სესხების საპროცენტო განაკვეთების შემცირებაზე. [2] საბანკო სექტორში კონკურენციის დაბალი დონის გამო, საქართველოში საპროცენტო განაკვეთები ხელოვნურად არის გაზრდილი. საქართველოში სხვა ქვეყნებთან შედარებით საკმაოდ მაღალია მნიშვნელოვანი პერსონალის (key personnel) ხელფასები მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ხშირია თანამშრომლების გადაბირების (ე.წ. Headhunting) ფაქტები კონკურენტებს შორის.

დიაგრამა 1. სახელფასე ხარჯის წილი მთლიან საოპერაციო ხარჯებში



საქართველოში მაღალია ბანკომატების და ფილიალების რაოდენობა, ცენტრალურ ქუჩებზე ერთმანეთის გვერდითაა განთავსებული ბევრი ბანკის ფილიალი. ნაკლებად მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებშიც კი გვხვდება ერთდროულად რამდენიმე ბანკის ფილიალი და ბანკომატი.

დიაგრამა 2. ბანკების ფილიალები 100,000 სრულწლოვანზე.



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის შეფასებით, საბანკო სექტორში განხორციელებული მსხვილი გარიგება, არათუ შეზღუდავს კონკურენციას, არამედ დადებითად იმოქმედებს და საბოლოოდ საპროცენტო განაკვეთების შემცირება უნდა გამოიწვიოს. „სწორედ კონკურენციაა იმის განმსაზღვრელი, რომ მომხმარებლების უფლებები იყოს დაცული. მომხმარებლის ინტერესში კი შედის დაბალი საპროცენტო განაკვეთები სესხებზე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები ანაბრებზე. ახალი მსხვილი მოთამაშის გაჩენა მცირედით მაინც შეცვლის თამაშის წესებს. კონკურენცის გაზრდა პირველ რიგში ხარისხის ამაღლებას, უკეთესი პირობების შეთავაზებასა და ძლიერი, საიმედო პარტნიორის არსებობას გულისხმობს”, - კონკურენცია თავის თავში სწორედ უკეთეს პირობებს გულისხმობს ახალი ბანკი შეეცდება, ბევრად უფრო კარგი სერვისები და მაღალი ხარისხი შესთავაზოს კლიენტებს.

საბანკო სექტორში არაკონკურენტული გარემოს ერთ-ერთი მაჩვენებელი არის ის, რომ საზღვარგარეთთან შედარებით, საქართველოს ბანკებში კრედიტებზე გაცილებით მაღალი პროცენტებია, მაშინ როცა მოსახლეობის შემოსავალი არც თუ ისე დიდია იგივე ევროპასა თუ ამერიკასთან შედარებით სესხებზე სტაბილურად მაღალი მოთხოვნაა, რისკის მაღალი პრემიაა და კონკურენცია არაა სათანადო სიმაღლეზე, საქართველოში მოქმედი 20 კომერციული ბანკიდან არაპროფილურ აქტივებს, ძირითადად, ორი მათგანი ფლობს. მაგალითად გავლენიანი სარეიტინგო სააგენტო FITCH-ი ქართული საბანკო სექტორის ახალ ტენდენციებზე ამახვილებს ყურადღებას. სააგენტოს ანალიზით, ქართულმა საბანკო სექტორმა კრიზისი წარმატებით დაძლია, თუმცა ამჟამად მთავარი პრობლემა ბანკებს შორის დაბალი კონკურენციაა.

ბანკები თავიანთ კლიენტებს თავიანთი პროდუქტების, მომსახურების პირობების მრავალფეროვან არჩევანს ნამდვილად არ სთავაზობენ. შესაბამისად, ბანკების მიერ მომხმარებლებსთვის შეთავაზებული სერვისები რაოდენობით მაინც შეზღუდული და, პრაქტიკულად, ერთსახოვანია. აქედან გამომდინარე, მოსაზრება იმაზე, რომ კონკურენტული ბრძოლა ბანკებს შორის ნაკლებია, ნაწილობრივ გასაზიარებელია. საბანკო კონკურენციის ნაკლებობის სხვა საფუძველს ვერ ვხედავ, რადგან საქართველოში, ასეთი პატარა ბაზრისთვის, რაოდენობრივად საკმაოდ ბევრი ბანკი მოქმედებს და იმის მიუხედავად რომ საბანკო სისტემის უდიდესი ნაწილი 2 ბანკს უჭირავს, კონკურენცია შეზღუდულს არ ჰგავს.

ეროვნული ბანკის მონაცემებითაც დასტურდება, რომ ეს ორი ბანკი „საქართველოს ბანკი“ და „თიბისი ბანკია“, რომელთაც ქართულ ბაზარზე „ლომის წილი აქვთ“. ეროვნულმა ბანკმა კომერციულ ბანკებს გრძელვადიანი დაფინანსების წახალისების მიზნით სარეზერვო განაკვეთები შეუმცირა. ეროვნულ ვალუტაში ერთ წელზე მეტი და უცხოურ ვალუტაში ორ წელზე მეტი ვადიანობით ნასესხები სახსრები სარეზერვო მოთხოვნებისგან გათავისუფლდა. უცხოურ ვალუტაში ერთიდან ორ წლამდე ნასესხები სახსრებისთვის კი სარეზერვო ნორმა 5%-მდე შემცირდა. პარალელურად ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთსაც ამცირებს. აღსანიშნავია, რომ ბანკებს შორის კონკურენცია მარტოდენ უმსხვილეს ბანკებში შეინიშნება. მაგალითად, წლის პირველ ნახევარში წმინდა მოგების კუთხით „თიბისიმ“ „საქართველოს ბანკს“ გადაუსწრო.

საქართველოში საფინანსო ბაზარზე კომერციული ბანკების გარდა მოქმედებენ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და საკრედიტო კავშირები, რომელთა რაოდენობა 80 ერთეულს აღწევს, მაგრამ ეს კონკურენცია მაინც ცალმხრივ ხასიათს ატარებს. მართალია ერთის მხრივ ისინი ხელს უწყობენ მოზიდულ სახსრებზე პროცენტების აწევას, მაგრამ სამაგიეროდ მეორეს მხრივ ნაკლებ ზემოქმედებენ სესხების შემცირებაზე. ეს გარემოება კი იმაზე მიუთითებს, რომ კონკურენცია არ არის სათანადო დონეზე. სწორედ ეს არის კონკურენციის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპის დარღვევა, რადგან კონკურენტულ სივრცეში დაბალი საკრედიტო საპროცენტო და შედარებით მაღალი სადეპოზიტო განაკვეთებია.

ანტიმონოპოლიური პოლიტიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამართლებრივ-ნორმატიული ბაზის შექმნაზე. [3] იგი გულისხმობს როგორც მოქმედი საკანონმდებლო ბაზის დახვეწას, ასევე შესაბამისი ინსტიტუციების გაძლიერებასაც. ეს ეხება როგორც თავისუფალი კონკურენციის სააგენტოს, ასევე სასამართლო სისტემის რეფორმირებას სპეციალური სასამართლოების შემოღების, თუნდაც როგორც ევროპის ქვეყნებშია მიღებული ნაციონალურ სასამართლოებში სპეციალური პალატების სახით, სადაც ეროვნულ ან ადგილობრივ დონეზე ხდება კარტერული სამართალდარღვევათა განხილვა. მაღალ საპროცენტო განაკვეთებს ზოგადად ეკონომიკის სისუსტე განაპირობებს. მაგრამ ფულად რესურსებზე სტაბილურად მაღალი მოთხოვნა მხოლოდ ამ ფაქტორის გამო არ არის. ამას ემატება რისკის მაღალი პრემია და ასევე შეზღუდული კონკურენცია. თავის მხრივ რისკის მაღალი პრემია ასევე გამომდინარეობს სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ფაქტორებიდან. საფინანსო და

ინსტიტუციონალური რისკებიდან კი უნდა გამოიყოს კერძო საკუთრების დაუცველობა, სასამართლო სისტემის არადემოკრატიული ხასიათი, შრომის და კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის დაურეგულრებლობა.

საბანკო მომსახურების კონკურენტუნარიანობის შეფასებისას, რომელიც შეიძლება შევავსოთ მოზიდულ დეპოზიტებზე და სესხებზე საპროცენტო განაკვეთების მიხედვით, ეს არის დაბალი საკრედიტო და შედარებით მაღალი სადეპოზიტო საპროცენტო განაკვეთები, რაც აისახება დაბალ საპროცენტო მარჟის მდგენელში. ანუ თავისუფალი კონკურენტულ გარემოში ბაზრის მონაწილეებს შორის კონკურენცია მიმდინარეობს ერთის მხრივ ფულადი რესურსების მოზიდვაზე, რაც მათ აიძულებს გაზარდონ განაკვეთები კონკურენტებთან შედარებით, ხოლო დაკრედიტებისას კლიენტურის მოსაზიდად, პირიქით კონკურენცია მიმდინარეობს საპროცენტო განაკვეთების დაწევით. როდესაც ეს პროცესი დარღვეულია დეპოზიტებზე მაღალ საპროცენტო განაკვეთები განაპირობებს ასევე მაღალ საპროცენტო განაკვეთებს სესხებზე, რაც აისახება კიდევ მაღალ საპროცენტო სპრედში რომელიც ჩვენს შემთხვევაში ძალზე მაღალია და 10-11 პროცენტს შეადგენს. შედარებისათვის საშუალო ევროპული მაჩვენებელი 2-3 პროცენტის ფარგლებშია. აქედან გამომდინარე, მაღალი საპროცენტო მარჟას განაპირობებს ერთის მხრივ ეკონომიკის სისუსტე, რაც აისახება სესხებზე სტაბილურ მაღალ მოთხოვნაში ან რისკის მაღალი პრემია, ან კონკურენცია არაა სათანადო სიმაღლეზე ან სულაც ორივე ერთად.

თუ კლიენტისათვის იზრდება ბანკის ტერმინალების გამოყენების ხელმისაწვდომობა, ისევე როგორც საბანკო პროდუქტების არჩევანი და მომსახურების ხარისხი, მაშინ ბუნებრივია კომფორტულობაც იზრდება და პირიქით, თუ ბანკის ტერმინალების გამოყენების (მოხმარების) ღირებულება იზრდება, მცირდება კომფორტულობა (მოხერხებულობა) თავის მხრივ კონკრეტული გარემოს გაუმჯობესება დიდწილად იქნება დამოკიდებული ნდობის გაზრდაზე, როგორც ადგილობრივი ასევე უცხოური ინვესტორების მხრიდან მიმზიდველობის ზრდის თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში ნდობის ფუნქცია შეიძლება შეფასდეს როგორც სუფთა ღირებულების, სტაბილური მოგების მაჩვენებლის და ინფორმაციის ხარისხის ფუნქცია. წმინდა ღირებულება ეს არის კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებელი, ინფორმაციის ხარისხი გულისხმობს ბანკის საქმიანობის ფინანსურ გამჭვირვალობას, ინფორმაციას ბანკის პროდუქტებზე და მომსახურებაზე, საფინანსო მაჩვენებლებზე და ა.შ. ინფორმაციის მაქსიმალური გახსნილობა მომხმარებელს უადვილებს არჩევანს შეადაროს ისინი სხვა საკრედიტო ინსტიტუტების შეთავაზებებს და ისე მიიღოს გადაწყვეტილება; ბევრ ქვეყანაში იგი რეგულირდება საკანონმდებლო დონეზე, მათ შორის ჩვენთანაც, მაგ. აშშ-ში 1968 წლიდან მოქმედებს კანონი საკრედიტო ინფორმაციის უტყუარობის შესახებ. ანალოგიური სახის კანონმდებლობა მოქმედებს ევროპის ქვეყნებშიც. ამ მიმართულებით ჩვენთანაც არის მნიშვნელოვანი წინსვლა. ყოველწლიურად იზრდება გეოგრაფიული არეალი, ბანკები ხსნიან ახალ და თანამედროვე ფილიალებს და სერვის ცენტრებს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ბანკების მიერ 100 მეტი ახალი სერვის ცენტრი გაიხსნა. ინერგება

ახალი ტექნოლოგიები, რაც მომსახურების ხარისხს აუმჯობესებს. 2011 წლიდან მოქმედებს „კომერციული ბანკების მიერ საბანკო მომსახურების გაწევისას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესი“. ეს წესი ვრცელდება ფიზიკური პირებისათვის ყველა სახის სამომხმარებლო კრედიტის, მათ შორის, ოვერდრაფტისა და საკრედიტო ბართის გაცემასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებზე. მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით აღნიშნული დოკუმენტი არის წინ გადადგმული ნაბიჯი და განსაზღვრავს კლიენტისათვის ყველა იმ ინფორმაციის მიწოდებს რაც დაკავშირებული საპროცენტო განაკვეთებთან თუ ფინანსურ ხარჯებთან. მართალია ჯერ კიდევ არის კლიენტთა პრეტენზიები ბანკების მიმართ, მაგრამ ეს მაინც არის ორმხრივი კომუნიკაციის პრობლემა და არ არის ისეთი პრობლემა, რომელიც არ იქნებოდა თუნდაც მოკლე დროში გადაჭრადი.

საქართველოს საბანკო სექტორი შეზღუდული კონკურენციის პირობებში ფუნქციონირებდა. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ბაზარზე ბანკებს შორის კონკურენცია არ არის. კონკურენცია ზოგადად არა თუ ბანკებს შორის, ერთი ბანკის შიგნითაც კი შეიძლება მიმდინარეობდეს. დღეს არის ხოლმე მინიშნებები ბანკებს შორის არსებულ კარტერულ გარიგებებზე. მაგრამ ამას დამტკიცება უნდა და მოითხოვს საკანონმდებლო და ინსტიტუციონალურ მოდერნიზაციას. მაგალითისათვის, ევროპის ქვეყნებში ფართოდ იყენებენ ფასების სტატისტიკური მაჩვენებლების მონიტორინგს რომელიც იძლევა საშუალებას განისაზღვროს დროის კონკრეტულ ინტერვალში ფასების ქცევას ჰქონდა ბუნებრივი თუ სპეკულაციური ხასიათი, აწევის ან დაწევის მიმართულებით. ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი, რადგან ბაზრის მონაწილეები შეიძლება ერთმანეთთან სპეცილურად სულაც არ იყვნენ გარიგებაში, მაგრამ აწყობთ რა მიმდინარე ფასი ახდენენ მონოპოლიური მოგების განაწილებას.

ნდობის ზრდის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია თუ ქვეყანა გადავა დეპოზიტების სავალდებულო დაზღვევის სისტემაზე. ასევე ძალზე მნიშვნელოვანია ქვეყანაში კაპიტალის ბაზრის განვითარებაც. სამწუხაროდ, მხოლოდ ბაზრის სიმცირე არ არის საფონდო ბაზრის განუვითარებლობის მიზეზი. უბრალოდ ამ მიმართულებით არ არსებობდა ერთიანი კონცეფცია, რომელიც საერთაშორისო ტენდენციებს გაითვალისწინებდა, დღეს საერთაშორისო ბაზრების ინტეგრაცია სულ უფრო შეუქცევად ხასიათს ატარებს. საბანკო სექტორი განვითარების დონე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე თუ რამდენადაა თავად საბანკო სექტორი ორიენტირებული მომხმარებელზე. აქ იგულისმება როგორც მომსახურების ხარისხი, ასევე გეოგრაფია და პროდუქტების ხელმისაწვდომობა.

დღეს მთავარი ამოცანა კონკურენტული სივრცის შექმნა უნდა იყოს. ახალმა ხელისუფლებამ ანტიმონოპოლიური რეგულირების თვალსაზრისით, უნდა მიიღოს ახალი კანონმდებლობა თავისუფალი კონკურენციის შესახებ, მათ შორის კარტერული საქმიანობის შესახებ და მოახდინოს თავისუფალი კონკურენციის სააგენტოს მოდერნიზაცია. ამ სახის ცვლილებები საშუალებას მოგვცემს საბანკო მომსახურების ბაზარზე კონკურენციის განსაზღვრისას ამოვიდეთ ისეთი ფაქტორებიდან როგორებიცაა: ცხადი ფასი, კომფორტი მომხმარებლისათვის, სა-

ზოგადოებრივი ნდობა. სამივე ეს მდგენელი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მოსაზიდი რესურსების და სესხების მოთხოვნის სიდიდეზე.

ლიტერატურა და ინტერნეტ-წყაროები

1. https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2013/n_1/lejava.pdf;
2. https://www.nbg.gov.ge/uploads/depozitarycorporeshenqartulad/money_aggregates_and_monetary_ratiosgeo.xls, ხელმისაწვდომი: 15.09.2015 წ;
3. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“;
4. კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის ბრძანება #30/09-3 “ზაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“;
5. <http://competition.ge/ge/page2.php?p=4&m=138>, ხელმისაწვდომი: 13.09.2015 წ;
6. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=404>, ხელმისაწვდომი: 15.09.2015 წ.